

სოციალური თოქშოუები ქართულ ტელევიზორცეში და მათი გავლენა
საზოგადოებაზე

თათია ნავროზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ითონიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თათია ნავროზაშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მთავარი თემა საზოგადოებაზე სოციალური თოქშოუების გავლენაა. ნამუშევარში განმარტებულია თოქშოუს ცნება, აღწერილია მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია. კვლევის მიზანია, გვაჩვენოს, თუ რა როლს თამაშობს სოციალური თოქშოუები თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორ გავლენას ახდენს მათ ცნობიერებასა თუ ქცევაზე აღნიშნული გადაცემები. ჩატარებული კვლევა მოიცავს 2012 წლიდან დღემდე პერიოდს და ამ პერიოდში საქართველოს ტელევიზორებში არსებული სოციალური თოქშოუების ზოგად მიმოხილვას. ნაშრომი 6 თავისგან შედგება და მისი ამოცანაა, აჩვენოს, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები გააჩნია სოციალურ თოქშოუებს საზოგადოების ცხოვრებაში, რა სურთ ადამიანებს, რომ შეცვალონ აღნიშნულ გადაცემებში, როგორი უნდა იყოს წამყვანი, რომ ადამიანების სიმპატია დაიმსახუროს და რა თემები უნდა შეირჩეს, რათა მაღალი იყოს რეიტინგი. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სოციალური თოქშოუ ქმნის საზოგადოებრივ აზრს. ამას ნაშრომში მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით შევეცდები წარმოვაჩინო, თუ როგორ არ უნდა გახდეს სოციალური თოქშოუ საზოგადოებისათვის საზიანო და რას უნდა ემსახურებოდეს ის თავისი არსით.

Abstract

The main theme of the master work is the influence of social talk-shows on society. There is explained concept of talk-shows and is described history of their origin and development in the work. The aim of the research is to show us what part the social talk-shows have in each person's life and what kind of influence they have on people's consciousness or behavior. The conducting research consists of the general review of social talk-shows which exist in Georgia from 2012 till nowadays. The work consists 6 chapters and its aim is to show what positive and negative results the socials talk-shows have in society life, what people want to be changed in them, what kind of the talk-show leader should be for to be loved from people and which themes should be selected for high reiting. These all are important as much as the social talk shows are making social views. There are examples which permit all these in the work. Follows from that, with the help of the master work, I am trying to show, how social talk shows should be interesting and not harmful for society and to what they must serve with their content.